პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი
# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 3 თებერვალი, 1990 წელი ● № 6 (2883) ● СУББОТА, 3 ФЕВРАЛЯ 1990 г.

## ჩვენ გვიცავს ჩვენი მილიცია...

### ანუ ქუთაისური „მუნიციპალური მილიციის" შესახებ

**რედაქციის** დავალებით სასწრაფოდ მივემგზავრები ქუთაისში. „მუნიციპალური მილიცია" შეუქმნიათ. მთელი მგზავრობის 40 წუთი ჩემს სამუშაო თემაზე ვფიქრობ... როგორც იქნა მივედი შს სამმართველოში და მგონი ბედმა მართლაც გამიღიმა. ყველანი ადგილზე არიან, მგონი კი არა მართლაც გამიღიმა, რადგან ჩემი ჩასვლა დაემთხვა ახლად შექმნილი „მილიციის სპეცსახალხო რაზმელთა" მეცადინეობის დღეს, რომლისგანაც მიმდინარე წლის მეორე ნახევარში დაკომპლექტდება „მუნიციპალური მილიცია".

მე ასე ვფიქრობ; ყოველი მოქვდავი ადამიანი უნდა ფიქრობდეს „აბა დღეს მე ვის რა ვარგე". მით უფრო, თუ კი ის თანამდებობის პირია და ყველაზე მეტად ევალება ხალხის, ქვეყნისა და გნებავთ ქალაქის ჭირ-ვარამზე ფიქრი. თუ ხელმძღვანელობისა და ხალხის ნააზრევი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინაა ურთიერთგატანა, თანადგომა და იოლი სიძნელეების გადალახვა.

ბითი ძალების შემოყვანის თაობაზე. ეს რაიმე განსაკუთრებული ახირება არ ყოფილა. არა, უბრალოდ საკუთარ ქალაქში წესრიგს თავადვე დავამყარებთო და დაიწყეს ფიქრი...

ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველომ, რაიაღმასკომებთან, საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილებასთან და სხვა შესაბამის სამსახურებთან ერთად დიდი სამუშაო შეასრულა. შეხვდნენ ქალაქის საწარმო-დაწესებულებების შრომით კოლექტივებისგან რეკომენდირებულებს, შეარჩიეს კანდიდატები, რომლებმაც „მუნიციპალურ მილიციაში" მუშაობის სურვილი გამოთქვეს.

შეირჩა 76 სპეცსახალხო რაზმელი, რომლებიც ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობისაგან გამოთავისუფლებით გაივლიან სამთვიან სტაჟირებას. საბოლოოდ მოხდება შერჩევა და აპრილის პირველ ნახევარში შეიქმნება 100 კაციანი „მუნიციპალური მილიცია", რა და როგორ იქნება სამომავლოდ ამაზე



ახმეთაური დ. ხარალიძე დავალებას აძლევს სპეცსახალხო რაზმელებს.

დღეს რომ ჩვენს რესპუბლიკას უჭირს, ეს ალბათ სადაო აღარაა. (თუმცა მთელ მსოფლიოშიც არა ნაკლები მდგომარეობაა.) გართულდა ოპერატიული ვითარება, იმატა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევამ, გახშირდა სისხლის სამართლის დანაშაულობანი, მოგვიმრავლდნენ ყაჩაღები და ქურდბაცაცები და ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ბევრი საფიქრალი გაუჩნდათ წესრიგის დამცველებს, ამიტომ სახელმწიფო და მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება სამართლებრივ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ფორმირებებს. საჭიროა მეტი კონტაქტი მასებთან, რადგან მარტო მილიცია ვერაფერს გახდება. იქნებ აქ გაგვახსენდეს, — რატომ, სახალხო რაზმელები ხომ ეხმარებიან მათ, მაგრამ თუ გულწრფელები ვიქნებით დამეთანხმებით, რომ იშვიათად გვინახავს დღეს ქუჩაში ფორმიანთა გვერდით წითელ სამკლაურიანი ადამიანები, რატომ და რისი მიზეზით ამის გარკვევა ალბათ შორს წაგვიყვანდა და მოდით ისევ დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას.

დავიწყოთ იმით, რომ ქუთაისის ხელმძღვანელობამ საზოგადოებასთან ერთად მტკიცე, კატეგორიული უარი განუცხადა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს წესრიგის დასაცავად ქალაქში დამატე-

ცოტა მოგვიანებით, ახლა კი დღეს არსებულზე.

„მილიციის სპეცსახალხო" რაზმელებს აქვთ განსხვავებული ფორმა, ნიშანი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, მიმდინარეობს მათი თეორიული და პრაქტიკული მომზადება. მეცადინეობები ტარდება კვირაში ორჯერ. ლექცია სემინარებს კითხულობენ მომზადებული და საქმის მცოდნე სპეციალისტები, ირკვევა ბევრი საინტერესო და საჭირბოროტო საკითხები. რაზმელები განაწილებული არიან მილიციის სხვადასხვა სამსახურში, მათი პროფესიული მომზადების გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ მსმენელთა შორის არიან სხვადასხვა ასაკის, აზროვნების, პროფესიისა და ეროვნების ადამიანები, მათ ერთი მისწრაფებები აკავშირებთ. დაიცვან ქუთაისში საზოგადოებრივი წესრიგი. გვერდში ამოუდგნენ მილიციის თანამშრომლებს და მათთან ერთად გაიზიარონ რთული და საპასუხისმგებლო საქმის ხვედრი.

ქალაქში უკვე შეხვდებით მათ. ხალხი ცნობისმოყვარედ ათვალიერებს. ზოგს ღიმილი ეხატება სახეზე, ზოგსაც გაოცება, მაგრამ მთავარია რომ პირველი ხელშესახები შედეგები სახეზეა. მათ სამოქმედო უბნებზე 8 დღეში (მხედველობაშია მოვალეობის შესრულების

(დასასრული მე-3 გვ-ზე.)

## ПЛЕНУМ ЦК КП ГРУЗИИ

31 ЯНВАРЯ состоялся пленум Центрального Комитета Компартии Грузии.

Пленум обсудил следующие вопросы:

об общественно - политической обстановке в республике и задачах Компартии Грузии;

о проекте Концепции национального развития Грузинской ССР;

о заявлении ЦК Компартии Грузии в связи с предстоящими выборами в Верховный Совет Грузинской ССР и местные Советы народных депутатов;

о созыве XXVIII съезда Коммунистической партии Грузии.

С докладом по этим вопросам выступил первый секретарь ЦК Компартии Грузии Г. Г. Гумбаридзе.

Пленум принял доработанную с учетом состоявшегося всеобщего обсуждения Концепцию национального развития Грузинской ССР.

Принято решение о созыве XXVIII съезда Коммунистической партии Грузии досрочно, в апреле 1990 года. В повестке дня съезда следующие вопросы:

1. Отчет Центрального Комитета Компартии Грузии о ходе перестройки и задачах партийных организаций республики.

2. О статусе Коммунистической партии Грузии.

3. Отчет Ревизионной комиссии Компартии Грузии.

4. Выборы руководящих органов Компартии Грузии и делегатов.

Пленум образовал Комиссию по подготовке к XXVIII съезду Компартии Грузии.

Пленум рассмотрел организационные вопросы.

С заключительным словом на пленуме выступил Г. Г. Гумбаридзе.

ვაჯამებთ წლის შედეგებს

## სახანძრო უსაფრთხოებისათვის

**გასულ** წელს რესპუბლიკაში შექმნილმა სირთულეებმა, ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო, თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა შინაგან საქმეთა ორგანოების ამა თუ იმ სამსახურის საქმიანობასა და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ამ მხრივ გამონაკლისი არც რესპუბლიკის სახანძრო დაცვა იყო.

მთელი წლის განმავლობაში, აპრილის შფოთიანი დღეებიდან მოყოლებული, ქვემო ქართლის, აფხაზეთისა თუ შიდა ქართლის ტრაგიკული ამბებით დამთავრებული. სახანძრო დაცვის მუშაკები პირნათლად ასრულებდნენ თავიანთ ძნელ და კეთილშობილურ საქმეს. იყო გარკვეული წარმატებები, მაგრამ შექმნილმა ოპერატიულმა დაძაბულობამ კვლავ მრავალი საზრუნავი წარმოაჩინა. სწორედ ამ საკითხთა გადაწყვეტას მიეძღვნა სახანძრო დაცვის ტერიტორიული და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებთან, რამოდენიმე ეტაპად გამართული სამსახურებრივი თათბირები, რომელთა დღის წესრიგში იდგა სახანძრო დაცვის ქვედანაყოფების მუშაობის შემდგომი გარდაქმნისა და გაუმჯობესებისაკენ მიმართული საკითხები. ფაქტობრივად პირველად, თითოეული რეგიონის ხელმძღვანელს კონკრეტულად დაესახა არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის გზები და ამოცანები.

თათბირის მონაწილეებს, სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა, შ/ს პოლკოვნიკმა ჯ. სურმავამ გააცნო რესპუბლიკაში შექმნილი ოპერატიული მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ 1988 წელთან შედარებით, 1989 წელს ხანძრების რიცხვი გაიზარდა 5,7 პროცენტით (114 შემთხვევა), ხოლო მატერიალური ზარალი 67,8 პროცენტით, (4411644 მანეთით). 11 ერთეულით გაიზარდა ხანძრების შედეგად დაღუპულ ადამიანთა რიცხვი.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა აფხაზეთის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის აო-ში, ქ. თბილისში, გორში, მესტიის, სამტრედიის, დუშეთის, გურჯაანის, ჭიათურის რაიონებში ხანძრების გახშირების და ამასთან დაკავშირებით შექმნილი რთული ოპერატიული მდგომარეობის გამო.

ჯ. სურმავამ გააანალიზა რა რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, ხაზგასმით აღნიშნა, რომ წინა წლებთან შედარებით ორჯერ გაიზარდა მსხვილი ხანძრების რიცხვი, რომელთა დიდი ნაწილი (10 შემთხვევა 12-დან) სავაჭრო დანიშნულების ობიექტებზე დაფიქსირდა.

საგულისხმოა, რომ ამ ობიექტებზე მეტწილად ცეცხლი ჩნდება ღამით, ან ინვენტარიზაციისა და რევიზიის ჩატარების წინ. ასე მოხდა გურჯაანის, დუშეთის, კასპისა და გაგრის რაიკოოპვაჭრობის მაღაზიებში. ამისათვის აღინიშნა გამოსვლაში, საჭიროა უფრო მეტად დაიხვეწოს სახანძრო დაცვის ორგანოებისა და საგამომძიებლო აპარატების ურთიერთქმედების საკითხები, გაიზარდოს პერსონალური პასუხისმგებლობა საგამომძიებლო და ოპე-

(დასასრული მე-2 გვ-ზე).

## სამომავლო მუშაობის დასახვენად

**ამ** დღეებში დუშეთის შს რაიგანყოფილების პირადი შემადგენლობის თათბირზე განხილული იქნა გასული წლის შედეგები. მოხსენებით გამოვიდა განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, მილიციის პოდპოლკოვნიკი ზ. მელიწკაური.

აღინიშნა, რომ 1989 წელს, ისევე როგორც წინა წელს, შენარჩუნებული იქნა რაიონში მომხდარ დანაშაულთა კლების ტენდენცია 9 ერთეულით, მათგან მძიმე სახის დანაშაული 1 ერთეულით. სისხლის სამართლის სამძებროს ხაზით (ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის მაიორი ვ. აფციაური) აღინიშნა კლება 6 ერთეულით, განზრახ მკვლელობის ფაქტები შემცირებულია 2 ერთეულით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბრძოლა ისეთი სახის დანაშაულობებთან, როგორებიცაა ქურდობა და ავტომანქანების გატაცება. თითქმის 50 პროცენტით იქნა შემცირებული ხულიგნობის ფაქტები. სტაბილური მდგომარეობაა სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის ხაზით (უფროსი ოპერრწმუნებული, მილიციის კაპიტანი ზ. წერეთელი) გამოვლენილ დანაშაულობებს ძირითადად შეადგენენ სახელმწიფო ქონების მითვისების, სპეკულაციის და ვაჭრობის ობიექტებში მოქალაქეთა ზომა-წონაში მოტყუების ფაქტები. სახელმწიფო ავტოინსპექციის სამსახურის ხაზით (უფროსი, მილიციის კაპიტანი ო. ზაქაიძე) აღინიშნა სტაბილური მდგომარეობა, ამასთან მიღწეულ იქნა სხეულის დაზიანების 2 ერთეულით კლება. ითქვა, რომ როგორც ავტო-საგზაო შემთხვევების ანალიზიდან ჩანს მათი გამომწვევი მთავარი მიზეზი იყო ავტომანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვა და სიჩქარის გადაჭარბება, რომ სწორედ ამ ხაზით უნდა გამახვილდეს სამომავლოდ სამსახურის პროფილაქტიკური მუშაობა.

ზრდა იქნა მიღწეული დანაშაულის გახსნის მაჩვენებელშიც (უფროსი გამომძიებელი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. ქავთარაძე), რომელმაც შეადგინა 96 პროცენტი.

აღინიშნა, რომ შემცირდა განყოფილების თანამშრომელთა მხრიდან დისციპლინის და სხვა სახის დარღვევები, ადგილი არ ჰქონდა სოცკანონიერების დარღვევის ფაქტს. ითქვა, რომ წლის განმავლობაში კარგად იმუშავეს მილიციის კაპიტნებმა: ო. ზაქაიძემ, რ. ბექაურმა, გ. ალექსიძემ, ო. ჯავახიშვილმა, ა. ლალიაშვილმა, დ. ქავთარაძემ, უფროსმა ლეიტენანტებმა: გ. ნატრაძემ, თ. ბექაურმა და სხვებმა, რომ პროფესიონალურ დონეზე გაართვა თავი მოვალეობას და სწორად წარმართავს განყოფილების მუშაობას მილიციის პოდპოლკოვნიკი ზ. მელიწკაური.

ამასთან თვითკრიტიკულად აღინიშნა, რომ მართალია ციფრები ცუდად არ გამოიყურებიან, მაგრამ საერთო წესრიგის მდგომარეობა მაინც არასახარბიელოა, რაც გამოიხატება იმაში, რომ სუსტად მიმდინარეობს ბრძოლა უმუშევრობასთან. საჭირო ყოფაქცევის და საპატიმრო ადგილებიდან დაბრუნებულ პირებთან, რომ ისინი ფორმალურად ებმებიან შრომაში და შემდეგ სათანადოდ აღარ მოწმდებიან.

თათბირზე აღინიშნა, რომ განყოფილების სამომავლო მუშაობაში ძირითადი მიმართულება იქნება დანაშაულობათა პროფილაქტიკა, რომ მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულის ჩადენის აღკვეთა-აცილებას, თანამშრომელთა პროფესიონალური მომზადების დონის ამაღლებას.

ჭ. ანდრიაძე.

# ჩვენ გვიცავს ჩვენი მილიცია...

(დასასრული)

პირველი დეკადა) ღია დანაშაული არ მომხდარა, ამასთანავე „მილიციის სპეცსახალხო რაზმელთა" მონაწილეობით გამოვლენილია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის 18 ფაქტი.

წერილის დასაწყისში აღვნიშნე, რომ ჩემი ჩასვლა ქუთაისში დაემთხვა ჯგუფის მეცადინეობას და მინდა მათი ნააზრევიც გაგანდოთ გადადგმულ ნაბიჯებზე. რა რწმენით, იმედით დაიწყეს მათ ეს საქმიანობა.

**ზ. ხონელიძე** — პოლიგრაფიული გაერთიანება № 5 სტამბის თანამშრომელი. ათმეთაური. — მიყვარს ჩემი ქალაქი, ამიტომ მის საკეთილდღეოდ გაკეთებულ საქმეში ჩემი წვლილიც მინდა ჩანდეს. წესრიგის დამყარება მარტო მილიციელის მოვალეობად არ უნდა ვაქციოთ. ეს ჩემი, შენი, მთელი ქალაქის ვალია.

**ქ. რევიშვილი** — სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა ავღანეთში — მილიციელი უნდა იყოს ზრდილი, ტაქტიანი, პრინციპული და სპეტაკი. „ჩემი" და „სხვისი" განურჩევლად უნდა აკეთოს მან. თუ კი ჩემში ამ თვისებებს აღმოაჩენენ ქუთაისელები ჩემს არსებობას გამართლებულად ჩავთვლი.

**ე. ჩიტიშვილი** — ინჟინერი. მილიცია მისი ქალაქის, რაიონის, ვარი ეს როდია. მთავარია, რომ ქალაქს მომავალ „მუნიციპალთა" სახით ეყოლება დიდი ძალა, რომელიც ყველაფერს გააკეთებს მისი ინტერესების და ღირსების დასაცავად. თუკი ეს ასე იქნება სამომავლოდ, ქალაქის შრომითი კოლექტივები მზად არიან საკუთარი სახსრებიდან სპეცანგარიშზე გადარიცხონ „მუნიციპალური მილიციის" 100 თანამშრომლის ხელფასისა და მათთვის საჭირო ტექნიკის შესაძენი თანხები. უკვე „ბინსოცბანკის" ქუთაისის განყოფილებაში გახსნილია სპეცანგარიში, ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფონდის შესაქმნელად.

სამომავლო გეგმებში გათვალისწინებულია უფრო მოხერხებული, დახვეწილი ფორმით მოგვევლინოს „მუნიციპალური მილიცია", უკვე მიმდინარეობს მზადება კადრების ავსტრიაში გასაგზავნად, გამოცდილების მიღების მიზნით, მოხდება მსმენელთა გაცვლა, მაღალი პროფესიული დაოსტატება და ასე გაიკვლევს გზას ეს სიახლე რეალურობისაკენ.

კარგ თაოსნობას, კარგი ინიციატორები, ძლიერი ბაზისი სჭირდება. ასეთად „მუნიციპალურ მილიციას" მოევლინა ქუთაისის შს სამმართველო, ქალაქის უზენაესი საბჭო, პარტიული კომიტეტი, საზოგადოებრივი აქტივი. იმედია მათ გვერდში ამოუდგება რესპუბლიკის შს სამინისტროს ხელმძღვანელობა.



სპეცსახალხო რაზმელები ავტოინსპექციის თანამშრომლებთან.

უბნის, სახეს უნდა წარმოადგენდეს. ჩემი ამ სამსახურში მოღვაწეობის მოკლე დროის მანძილზე ბევრი რამ შევიგრძენი, იცით, — ბევრი რამ დასახვეწი და შესავსებია მილიციის მუშაობაში. მთავარია ვეცოდეთ ადამიანებთან დამოკიდებულება. საზოგადოება უფრო მეტად უნდა დაინტერესდეს ამ სამსახურით.

**ზ. ვაშაყმაძე** — „მუნიციპალურმა მილიციამ" უნდა აკეთოს ეროვნული საქმე. ის ფორმითაც და ხასიათითაც ეროვნული უნდა იყოს. ამ მილიციის შექმნა ქუთაისში როდი ნიშნავს, რესპუბლიკის ინტერესების უგულებელყოფას. ჩვენ დავიცავთ საქართველოს ყოველ კუთხე-კუნჭულს, სადაც ეს საჭირო იქნება. მიგვაჩნია, რომ ქართულ მილიციას უნდა ჰქონდეს საკუთარი ფორმა და სამოქმედო კანონები. მჯერა, რომ ჩვენ ამას შევძლებთ. ამით ბადრიმ ყველას სათქმელი მითხრა.

ბევრი ამათთაგანი ალბათ ვერ მოხვდება მათ რიგებში, რომელთაგანაც ჩამოყალიბდება „მუნიციპალური მილიცია", რადგან ბატონმა ა. ბალდაველიძემ განმიმარტა, რომ შერჩევა მოხდება სხვადასხვა თვისებების გათვალისწინებით (სიმაღლე, გარეგნობა, ასაკი) მაგრამ, მათი თანადგომის ეიმედება სწორედ ასეულის ხელმძღვანელს პოლკოვნიკ დ. სარალიძეს. — უნდა გჯეროდეს იმ საქმის, რომელსაც ხელს ჰკიდებ, რწმენის გარეშე არ არსებობს არაფერი. მთავარია ჩვენ არ დავცილდეთ ხალხის ინტერესებს, ყველამ ერთი საქმე უნდა ვაკეთოთ, ეროვნული სულისკვეთებით მოცული. ალბათ დღეს ისე გვჭირდება მილიციისა და საზოგადოების ურთიერთთანადგომა, როგორც არასდროს. „მუნიციპალური მილიცია" შეძლებს ბევრი კარგი საქმის გაკეთებას და ხალხიც გამოგვყვება ჩვენ.

რწმენას ნუ შეურყევთ ქუთათურებს, რამეთუ სიკეთით ჩადებული თესლი კეთილად აღმოცენდება.

თქვენი მონდომება და დიდი რწმენა ყოფილიყოს თავდები „მუნიციპალური მილიციის" საქმიანობის. მილიციის, რომელიც უნდა იყოს ჭეშმარიტად საზოგადოებრივი, ეროვნული და ხალხის ინტერესების დამცველი.

მაშინ მართლა გამართლდება ხალხის ნათქვამი: „ჩვენ გვიცავს, ჩვენი მილიცია".

**მ. მოსიძე.**

**ო. ბერეჩიკიძის** ფოტო.

# ნაცნობი ტელეეკრანიდან

(ჩანახატი)

**ტელევიზორი** ჩავრთე: ეკრანზე მაღალი, შთამბეჭდავი გარეგნობის კაცი გამოჩნდა. მოზარდებს ესაუბრებოდა. მალე მისი გვარი და სახელიც დაიწერა, მეხიშნა, გაზეთებში ხშირად წამიკითხავს ეს გვარი. მერე ხშირად ვნახულობდი ეკრანზე ამ კაცს, რაღაც ძალიან მომწონდა მასში. უყურადღებოდ არ ვტოვებდი მის გამოსვლებს.

ჩემს უახლოეს მეგობარს გაუჭირდა. შეწუხებული და დაბნეული იყო, თუმცა ვაჟკაცურად ეჭირა თავი, არავის შესწუწუნებდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა დარდი. ვფიქრობდი, ულმობელია მეთქი წუთისოფელი, „კაცი ვერსაით წაუვა თავის ბედსა და წერასა".

ადამიანი, რომელსაც ფიქრისა და განსჯის უნარი აქვს, არასოდეს არ არის მარტო, რადგან, როგორც ვაჟა ამბობს, „ფიქრი უსაზღვროა, ვითა სამყარო". ხშირად ფიქრი ოცნებით აგებულ კოშკს დამიმსხვრევს, ანთებულ ლამპარს ჩამიქრობს, მასწავლის, გამამხნევებს, დამარიგებს. ასე მოხდა ახლაც, ფიქრმა ეკრანის ნაცნობ კაცთან მიმიყვანა. გავიხარე ჩემი აღმოჩენით. იქნებ უშველოს ჩემს მეგობარს? წერილი გავამზადე: წერის დროს გულს ბაგაბუგი გაჰქონდა, ამოვარდნას ლამობდა. გავგზავნე წერილი და უარესად ავფორიაქდი. პასუხი არსად ჩანდა. ბოლოს ისიც მივიღე. ჩემი ეკრანის ნაცნობთან მიწვევდნენ. შეხვედრა დილის 9 საათზე უნდა შემდგარიყო.

მთელი ღამე ვერ დავიძინე: ძალიან ვღელავდი. ვგონებ, მისაღებ გამოცდებზეც არ მინერვიულია ამდენი. რას მეტყვის? გამიჯავრდება? იქნებ არ წავიდე? გათენდა დილა. ცოტა წამოწვიმა კიდეც. სახლიდან გულდამძიმებული გამოვედი, მაგრამ გულს მიმხნევებდა ფიქრი იმაზე, რომ კეთილ საქმეზე მივდიოდი, ადამიანისათვის უნდა მეშველა...

მისაღებ ოთახში უფრო მეტად მომერია დაძაბულობა, თავს ძლივს ვიმშვიდებდი, როგორც იქნა შევედი კაბინეტში. ჩემსკენ გამოემართა ჩემი ეკრანის ნაცნობი გმირი უჩვეულოდ სათნო ღიმილით. ტოლივით ჩამომართვა ხელი და გამამხნევა, სკამზე მიმითითა. დავჯექი და თრთოლვით დავიწყე მოყოლა. მოთმინებით, ყურადღებით მისმენდა, ჭკვიანი თვალებით შემომცქეროდა, თანამიგრძნობდა.

კაცობრიობის ისტორია ერთ ადგილზე გაჩერდებოდა, მამათა ადგილს შვილები რომ არ იკავებდნენ. მოდის ახალგაზრდობა, მოდის თაობა, რომელმაც წინაპართა ამაგის დაფასებაც იცის და მამებივით შვილების მომავლისათვის ზრუნვაც. ქეთინო შენც მომავალი ხარ! — მეუბნებოდნენ მისი თვალები.

იმ წუთს მინდოდა, რომ ეს კაცი ჩემი მამა თუ არა ლვიძლი ბიძა მაინც ყოფილიყო, შთაბეჭდილება უზარმაზარი იყო. მან დამაიმედა, სულიერი ტკივილი გამიყუჩა, ჩემს რწმენას გაუფრთხილდა. ჩემი სულის ნახანძრალზე კიდევ ერთხელ იზეიმა სიცოცხლემ, ყურში თითქოს ვიღაცამ ჩამჩურჩულა: ქეთინო არა ხარ ობოლი, კეთილი ხალხი გპატრონობს".

თვალები ცრემლით ამევსო, მინდოდა არ შეემჩნია, მაგრამ მის თვალს არ გამოპარვია, მასაც მოუსევდიანდა თვალები, ჩემი განცდა გადაედო.

მინდოდა გადავხვეოდი, გულში ჩავკვროდი, ალბათ მამის ალერსი თუ მომენატრა, ვერ გავბედე...

მისი კაბინეტიდან სულიერად ამაღლებული და გახარებული გამოვბრუნდი. ისე დამპირდა, ვიცოდი არ გამაწბილებდა. ახლა უკვე მხნედ მივაბიჯებდი, მთელი ქვეყანა ჩემი მეგონა.

მივდიოდი და გულში რატომღაც ვღიღინებდი მუხრან მაჭავარიანის ლექსს:

**„და როგორც ღვინო —**
**ქვევრიდან ხაპში — ხაპიდან**
**დოქში,**
**დოქიდან ჯამში, ქართული სისხლი,**
**ქართული სული,**
**ქართული სიტყვა,**
**ქართული გული**
**გადადიოდა კაციდან კაცში".**

**ქეთევან კუპატაძე**
**ქიმია-ბიოლოგიის სპეციალობის II კურსის სტუდენტი.**

* * *

ბატონმა შოთამ შეასრულა თავისი დანაპირები, უშველა ჩემს გაჭირვებულ მეგობარს, ხოლო ჩვენ უდიდეს მეგობრებად დავრჩით.

ПОДВОДИМ ИТОГИ ГОДА

# В районе ДТП снизились

**28 января в УГАИ МВД ГССР состоялось зональное совещание начальников ГАИ по подведению итогов года, на котором информацию сделал первый заместитель министра внутренних дел республики генерал-майор внутренней службы В. Шадури.**

**Почти во всех районах отмечается рост уровня дорожно-транспортных происшествий, однако, как отметил в своей информации В. Шадури, есть РОВД, которые завершили год со снижением ДТП. Одним из таких подразделений является ГАИ Сагареджойского РОВД, о котором и будет наш рассказ.**

— **В 1989 ГОДУ,** — рассказывает начальник отделения ГАИ Сагареджойского РОВД капитан милиции Ш. Берошвили,—несмотря на то, что мы на разные мероприятия, в которых были задействованы наши сотрудники, истратили 7.372 человека-часов в течение года, количество ДТП у нас в районе сократилось.

Сотрудниками ГАИ выявлено 5.290 фактов нарушений, из них 148 за управление автомашиной в пьяном состоянии, за нарушение скорости — 619, правил переезда перекрестка — 1.368 и других — 1.848.

По 12 фактам материалы переданы в трудовые коллективы на рассмотрение товарищеских судов, а по 2 — возбуждены уголовные дела и переданы в народные суды. Сотрудниками отделения выявлено также 9 фактов нарушений по линии БХСС. За совершение ДТП оштрафованы нарушители на 50 тыс. рублей, а всего в течение года вместе с проведенными другими мероприятиями (техосмотр и др.) нами перечислено в госбюджет около 132 тыс. рублей.

За истекший год сотрудниками подразделений ГАИ проведено 40 оперативно-профилактических мероприятий, опубликованы статьи в районой газете «Иврис гантиади» и других республиканских изданиях. Проводится большая работа в трудовых коллективах и организациях, со стороны сотрудников которых наблюдаются частые нарушения. К примеру, недавно проведено 2 профилактических мероприятия, беседы и лекции в АТП и в Государственном агропромышленном комитете РПО Агропромтранса Сагареджойского АТП и др. Всего таких бесед и лекций проведено более 100. Основное внимание уделяется дисциплине сотрудников.

— Коллектив в основном укомплектован молодыми сотрудниками, — говорит заместитель начальника РОВД по политчасти майор милиции Г. Курхули. — В прошлом году число нарушителей дисциплины в подразделении сократилось.

Руководством позразделения в прошлом году наказаны 2 человека, а за хорошую работу поощрены 8 автоинспекторов. Среди передовых Г. Курхули выделил инспекторов ДПС старшину милиции Георгия Окромчедлишвили, рядового милиции Заура Мамардашвили и сержанта милиции Александра Табатадзе.

**А. МАЛАЯНЦ.**

# „მხარს ვუჭერთ"

**ჩვენ** ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადმა შემადგენლობამ წავიკითხეთ და გავაანალიზეთ გაზეთ „მებრძოლ გუშაგში" 1989 წლის 25 ნოემბრის № 48-ში გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „სამართლიანობის პრინციპებით, რომლის ავტორია ქ. თბილისის შს სამმართველოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა დაცვის მილიციის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. გრიგალაშვილი. წერილის ავტორი სამართლიანად აშუქებს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკების საპენსიო უზრუნველყოფის საკითხებს და მოყვანილი აქვს საყურადღებო ფაქტები, რასაც ჩვენი განყოფილების შემადგენლობა მთლიანად უჭერს მხარს. მოვითხოვთ რ. გრიგალაშვილის წერილში წამოყენებული წინადადებების ცხოვრებაში პრაქტიკულად განხორციელებას, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ წერილის 1 პუნქტში, სადაც მითითებულია რომ მილიციის მრავალი მუშაკი მოვიდა შინაგან საქმეთა ორგანოებში სამუშაოდ სახალხო და სოფლის მეურნეობებიდან, წარმოება-დაწესებულებებიდან, სხვადასხვა უწყებებიდან, ხოლო მუშაობის სტაჟი პენსიის დასანიშნავად ეთვლებათ მხოლოდ კომკავშირულ და პარტიულ ორგანოებში განთავისუფლებულ თანამდებობაზე მომუშავე პირებს, რაც თანამედროვე პირობებისათვის არასწორად მიგვაჩნია. საჭიროა შინაგან საქმეთა ორგანოებში მოსვლამდე მუშაობის სტაჟი ჩაეთვალოს საპენსიო სტაჟში, აქვე გვსურს ამ პუნქტთან დაკავშირებით გამოვთქვათ ჩვენი აზრიც. ბევრი შინაგან საქმეთა ორგანოების რიგითი და ოფიცერთა შემადგენლობა, რომლებიც ამჟამად მუშაობას აგრძელებენ შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდნენ სპეც. წოდების მიღებამდე შინაგან საქმეთა ორგანოებში, სხვადასხვა თანამდებობებზე სამოქალაქო შტატით. 25 წლიან მუშაობის სტაჟში ის დრო არ ეთვლებათ. სპეცწოდების მიღებამდე ნამუშევარი დროით ხომ ფაქტიური მუშაობით დაკავშირებული იყვნენ შინაგან საქმეთა ორგანოების საერთო საქმიანობასთან. ჩვენი წინადადებაა სამოქალაქო შტატით შინაგან საქმეთა ორგანოებში ნამუშევარი დრო სპეც. წოდების მიღებამდე მთლიანად ჩავთვალოთ პენსიის მიღებისას.

**ხულოს რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი შემადგენლობა.**

(დასასრული).

რატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგიანობაზე, ხანძრების მიზეზის დადგენაზე და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემაზე.

თათბირმა მოისმინა და ცნობად მიიღო აჭარის ასსრ სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის მოადგილის, შ/ს პოდპოლკოვნიკის თ. კვაჭაძის, ქ. თბილისის სახანძრო დაცვის განყოფილების უფროსის შ/ს პოლკოვნიკის კ. ხორგუაშვილის, რუსთავის სახანძრო დაცვის რაზმის უფროსის შ/ს პოდპოლკოვნიკის დ. ფუხაშვილის ინფორმაციები 1989 წელს გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

აღნიშნული სახანძრო დაცვის სამსახურების მიერ 1989 წელს გაწეული მუშაობა თათბირმა არასაკმარისად მიიჩნია და მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის მათ წინაშე დასახა კონკრეტული ამოცანები, რომელთა შესრულების მიმდინარეობა ნახევარი წლის შედეგების შეჯამებისას იქნება განხილული.

სახანძრო დაცვის სამმართველოს განყოფილებებსა და ქვედანაყოფებს დაევალათ, ადგილობრივი სახანძრო დაცვის ორგანოებისადმი ორგანიზაციულ-მეთოდური ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან ერთად მეტი პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინონ მათ, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების, სახალხო მეურნეობის ობიექტების სახანძრო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

**ზ. თალაკვაძე,**
**საქ. სსრ შს სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილე, შ/ს პოდპოლკოვნიკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

БУДНИ УГОЛОВНОГО РОЗЫСКА

# ПОСЛЕДНЯЯ ПОЕЗДКА В ТАШКЕНТ

**ЛИЧНОСТЬ Т. Д.** 1952 года рождения хорошо известна в Болниси, не как честного труженика и семьянина, а как вора, мошенника и реализатора наркотических веществ.

Сотрудники Болнисского РОВД вели за ним наблюдение.

Потеряв человеческую совесть, он продолжал жить вне нашего общества. Решив разбогатеть на бизнесе «белой смерти», привлек к нему в качестве «подруги» жительницу г. Болниси, нигде не работающую И. Э. Заимев друзей в Ташкенте, этот дуэт занимался реализацией и торговлей наркотических веществ «анаша» и «марихуана». Но одна из поездок в Ташкент стала для них последней. Получив по оперативным данным сводку, что Т. Д. и И. Э. выехали в Ташкент, начальник райотдела майор милиции Л. Давлианидзе создал оперативную группу во главе с начальником отделения УР Болнисского РОВД капитаном милиции Теймуразом Гетиашвили, в которую вошли все оперативные сотрудники райотдела.

Реализаторы наркотиков, чтобы запутать следы сотрудникам милиции, прилетели не в Тбилиси, где их могли бы поджидать, а в Ереван, а оттуда на автобусе через Степанаван направились в Болниси.

— Принятыми оперативными мерами по «горячим следам», — рассказывает Т. Гетиашвили, — нами были заблокированы все въезды и выезды г. Болниси, в результате чего «дуэт» реализаторов был задержан. При обыске на квартире у Т. Д. было обнаружено 918 г «марихуаны». Упаковав в целофановые кульки, он их перепрятал в подвальном помещении в асбестовой трубе. При задержании торговцы «белой смертью» сознались в содеянном. Против них возбуждено уголовное дело, и материалы переданы в суд.

Вот так в очередной раз сотрудниками Болнисского РОВД были пресечены действия «наркобизнесменов».



**НА СНИМКЕ:** оперативная группа, реализатор и изъятые у него наркотики.

Текст и фото **Г. Гняшвили.**



**არც** ისე დიდი ხანია, რაც მილიციის მაიორი ფრიდონ კიფიანი დაინიშნა ზუგდიდის რაიონის სახავტოინსპექციის უფროსად. ამ ხნის მანძილზე არა ერთი სიახლე დაინერგა დანაყოფში, სადაც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის მოვალეობას, იმიტომაცაა ალბათ ის, რომ საგრძნობლად შემცირდა საგზაო შემთხვევები. სურათზე ასახული არიან ფ. კიფიანი, მილიციის ლეიტენანტი რ. შულაია, მილიციის უფროსი ლეიტენანტი გ. ქადარია.

**ბორის** სახანძრო ნაწილში ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება შ/ს სერჟანტი ე. მაზმიშვილის ქვედანაყოფი. სურათზე ტაქტიკური მეცადინეობისას აღბეჭდილი არიან (მარცხნიდან)რიგითი ნ. მაჭარაშვილი, უფროსი მეხანძრე ნ. დოგაძე და ე. მაზმიშვილი.

**ბ. ბურამიშვილის** ფოტო.



## Только факты

▲ 31 января в 12 часов в г. Зугдиди двое неустановленных преступников в масках, вооруженные обрезом и ножом, совершили разбойное нападение на директора Зугдидского объединения торговой сети строительных материалов. При этом, получив сопротивление домохозяйки, преступники произвели выстрел в сторону двери дома и с места происшествия скрылись. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками ГОВД преступники были задержаны, ими оказались: Шота Ц. и Зураб Г., жители Зугдиди. У последних изъято: двуствольный обрез, две снаряженные металлические гильзы, два ножа, 2 колготок для маски, кроме этого из дома у Ш. Ц. изъято 50 боеприпасов калибра 5,6 мм, 5 боепатронов от пистолета «ТТ», у З. Г. — 3 металлические гильзы калибра 20 мм.

▲ 31 января в дневное время в пос. ТЭВЗа неустановленный преступник, подобрав ключ, проник в квартиру Гурама М., откуда совершил кражу 880 рублей и золотых изделий.

Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками 2-го отд. Ленинского РОВД задержаны Теймураз Д. и Теймураз Г.

Краденое изъято.

ხაზზეა ფოთი

# დანაშაულობათა კვალდაკვალ

**მოკლე** ოპერატიულ მასალებს ტელეფონით გადმოგვცემს ოპერატიულ დარგში ფოთის შს საქალაქო განყოფილების უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, მილიციის მაიორი ზ. ხუნჯუა.

**საღამოს,** 19 საათსა და 45 წუთზე ფოთის შს საქალაქო განყოფილების სამორიგეო ნაწილში ელსმენით შემოვიდა შეტყობინება, რომ ქ. ფოთის ლოლუას ქუჩა № 2 ბინა 16-ში დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა მოაწყო ყაჩაღური თავდასხმა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით „ცხელ კვალზე" შექმნილი იქნა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ შს განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი ბ. ჯალაღონია, უბნის ინსპექტორები, მილიციის კაპიტნები ე. სორდია და გ. შარუხია, რიგოსნები თ. ქოიავა, ზ. უფლისაშვილი, ე. ფარცვანია. თანამშრომლები დაუყონებლივ გავიდნენ შემთხვევის ადგილზე. ჯგუფის წევრების მიერ დასახელებული სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაქცევის მცდელობის დროს დაკავებული იქნა ფოთის მცხოვრები ადრე ნასამართლევი ზ. კ. რომლის მიმართ ქ. ფოთის პროკურატურის მიერ 1988 წლის მაისში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და იმყოფებოდა ძებნაში. დაკავებისას მან მილიციის თანამშრომლებს გაუწია წინააღმდეგობა. მას აღმოაჩნდა მცირე ზომის ხმალი და მარყუჟიანი ოთხი თოკი.

**ოპერატიული** ინფორმაციის რეალიზების შედეგად მოქ. ნ. მ-ს ბინაზე, რომელიც იმჟამად სახლში არ იმყოფებოდა. ნარკოტიკული ნივთიერების დამზადებისას დაკავებული იქნა მეზობლად მცხოვრები, მანამდე ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისათვის ნასამართლევი გ. ჰ.

ამოღებულ იქნა 450 გ. „კოკნარი", 0,5 გრამი ოპიუმი, სამედიცინო შპრიცი და ნარკოტიკის მოსამზადებელი საშუალებები.

**ახევე** დაკავებულ იქნა ქ. ფოთის მცხოვრები ნარკოლოგიურ დისპანსერში აღრიცხვაზე მყოფი ნარკომანი ბ. მ. რომელსაც საკუთარ ეზოში დათესილი ჰქონდა და მოჰყავდა ნარკოტიკული ნივთიერება — მცენარე კანაფის ნედლეული, რომელიც ამოღებულ იქნა 1 კგ და 450 გრამის ოდენობით. მან აღიარა, რომ ეს ნივთიერება მოჰყავდა პირადი მოხმარების მიზნით.

**23 საათზე** სამორიგეო ნაწილში გამოცხადდა მოქალაქე გ. სახეიშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ მისი საცხოვრებელი სახლის წინ უცნობმა პირმა გაიტაცა მასზე განპიროვნებული ავტომანქანა ტაქსი გაზ-24. შექმნილ ოპერატიულ ჯგუფში შევიდნენ განყოფილების უფროსის მოადგილე (ამ სტრიქონების ავტორი), სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი ოპერრწმუნებული მილიციის კაპიტანი კ. ტრიანდაფლონი, უბნის ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი გ. ქორჩილავა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს საპატრულო-საგუშაგო სამსახურის თანამშრომლების, მილიციის უფროსი სერჟანტის ა. ქირიას, რიგითების ხ. სოლომონიას და ბ. რიჟამაძის საქმიანი და ოპერატიული მოქმედება, რომლებიც ინფორმაციის მიღებისთანავე დაედევნენ გატაცებულ მანქანას და დააკავეს ხობის რაიონის ტერიტორიაზე. გამტაცებლები არ ემორჩილებოდნენ თანამშრომლების ნიშანს მანქანის გაჩერების თაობაზე და მხოლოდ მას შემდეგ რაც მდევრის მიერ მომწყვდეულ იქნა ჩიხში, იძულებული შეიქმნენ გაეჩერებინათ მანქანა, გადმოვიდნენ და ცდილობდნენ გაქცეულიყვნენ, მაგრამ ისინი დააკავა ზემოხსენებულმა თანამშრომელთა ოპერატიულმა ჯგუფმა.

გამტაცებელი აღმოჩნდა ადრე ყაჩაღობისათვის პასუხისგებაში ნამყოფი ქ. ფოთის მცხოვრები გ. ს.

# ДОЛЖНО БЫТЬ НАДЕЖНО ЗАЩИЩЕНО

**В ЗАЩИТЕ** от огня социалистической собственности, промышленных и народнохозяйственных объектов, жилых домов, вузов, больниц, школ, детсадов и др. объектов ведущее место занимает пожарная охрана республики. Ведь только благодаря умелым, своевременным действиям пожарных, проведению профилактических мероприятий по предупреждению пожаров в республике было спасено государственного имущества на много миллионов рублей.

Немалую лепту внесли в это благородное дело и пожарные пожарной части Октябрьского района г. Тбилиси.

— Да, действительно так, — сказал начальник ОПО УВД Тбилгорисполкома полковник в/с Кохта Хоргуашвили, — подразделение, которое недавно возглавил майор в/с Л. Абсанидзе, в 1989 году добилось хороших результатов, и это несмотря на то, что Октябрьский район является одним из старых поселений как в инженерно-архитектурном, так и рельефном своеобразии. В прошлом году, — рассказывает старший инженер ОГПН Октябрьского района капитан в/с Р. Габараев, — в районе возникло 14 пожаров с общим материальным ущербом 12.456 рублей. По сравнению с 1988 годом количество пожаров уменьшилось на 37 процентов, а убыток на 1.355 рублей.

Большим достижением для нас является то, что на пожарах не было человеческих жертв. Этого мы добились благодаря целенаправленной и планомерной работе всего личного состава. На территории района на всех промышленных объектах и в жилом секторе активно проводится противопожарная пропаганда с рабочими и служащими. Инспекторский состав совместно с сотрудниками милиции и с членами добровольного пожарного общества района систематически проводят рейды. Так, недавно в проведенном рейде под названием «Электроплита» было изъято с составлением актов 27 самодельных электронагревательных приборов, организовано 36 выступлений перед педагогическими коллективами школ, ПТУ, детсадов на противопожарную тему. Кроме того, за нарушение правил пожарной безопасности оштрафованы 23 руководителя объектов, отключено 54 электроустановок, а в кинотеатрах «Накадули» и «Гантиади» были показаны кинофильмы на противопожарную тему: «Пожар и общественность» и «Почему сгорел дом».

Хорошо и продотворно работают в этом направлении заместитель начальника по политчасти лейтенант в/с Э. Эюбов, инспектор Госпожнадзора старший лейтенант в/с В. Гуркина, младший инспектор сержант в/с Р. Хубулов и др.

Личный состав пожарной части Октябрьского района в новом году еще более упрочит достигнутое, чтобы претворить в жизнь девиз: «Что создано человечеством для человека — надежно должно быть защищено».

**А. АРТЕМОВ.**

**ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР**

# Организованная преступность в США

Вовлечение организованной преступности в эту сферу вызывает тревогу в самих деловых кругах. Торговая палата США еще в 1970 году констатировала: «В настоящее время практически каждый вид бизнеса в индустрии США эксплуатируется и подвергается проникновению со стороны грозного, незнающего преград конкурента — конгломерата преступности. На этот преступный конгломерат работают тысячи людей, он ежегодно получает миллиард чистой прибыли, действует в национальном и международном масштабе, обладает умело устроенной организационной структурой с жесткой дисциплиной, держит в руках своих удручающе эффективный аппарат лоббй, надежно страхуется от применения к нему правовых санкций, наносит удары по корпорациям с миллиардными прибылями и парализует более мелкие фирмы, и, по мнению многих, представляет наиболее серьезную угрозу для безопасности и принципов нации».

(Начало в № 4).

(Окончание следует).

— ლოგიკურია, — ჩაურთო პოლკოვნიკმა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ჩვენთვის ყოველი წუთი ძვირფასი და გადამწყვეტია. საჭიროა მათი დაუყოვნებლივ აყვანა. აი, მათი დაპატიმრებისა და ბინის ჩხრეკვის ორდერებიც. იმისათვის, რომ მათ არაფერი იყნოსონ ამ ოპერაციის შესახებ საჭიროა, რომ ჯერ თქვენი მოადგილე შევიდეს განყოფილებაში მუშაკების სიფხიზლის შემოწმების მიზნით, განაიარაღოს ლეიტენანტი ზურაბ დარჩია და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შევიდეთ ჩვენ.

— თანახმა ვარ, — მიუგო პოლკოვნიკმა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ორდერები გთხოვთ ამხანაგ ალექსანდრე ფანცხავას გადასცეთ, ის მოუვლის ამ საქმეს.

— მომწონს თქვენი გამჭრიახობა!... ალტაცებით წარმოსთქვა პოლკოვნიკმა და ორდერები ალექსანდრეს გადასცა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, შეიძლება წავიდა? — ჰკითხა ალექსანდრემ.

— იმოქმედეთ! მიუგო პოლკოვნიკმა.

* * *

**შინაგან** საქმეთა განყოფილებაში შემოსული პოდპოლკოვნიკი რომ დალანდა, ზურაბ დარჩია ფეხზე წამოიჭრა და უპატაკა: — ამხანაგო უფროსო, შინაგან საქმეთა განყოფილებაში რაიმე შემთხვევას ადგილი არა ჰქონია. მილიციის ლეიტენანტი ზურაბ დარჩია.

ზურაბს პატაკი არც კი ჰქონდა დამთავრებული, რომ დარჯანიამ ელვის სისწრაფით დაუმიზნა იარაღი და უბრძანა: — წინააღმდეგობის გაწევა არ იფიქროთ!... თქვენ დაპატიმრებული ხართ! ჩამაბარეთ იარაღი! კიდევ ერთხელ გაფრთხილებთ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობაა!

ზურაბი ერთბაშად მოიხვარა. იარაღი უმწეოდ გადასცა პოდპოლკოვნიკს. პოლკოვნიკი და ოთარ ხომერიკი შემოვიდნენ. ზურაბ დარჩია ასე ადვილად არ დაემორჩილებოდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ კარგად იცოდა დარჯანიას თვალის სიზუსტე და ხელის სისწრაფე, ის მას ამას წინათ ქალაქში მოთარეშე ბინის ქურდებთან ოპერაციის დროს დაამახსოვრდა.

— აბა, — განაგრძო არჩილმა: — ყოველგვარი სისულელეების გარეშე გაგვიძეხი უფროსის კაბინეტისაკენ! შესვლისას კაბინეტის კარს ლიად დასტოვებ და დავით დიხამინჯიას გარეთ გამოიყვან; ზურაბმა სამჯერ ფრთხილად დააკაკუნა კაბინეტის კარზე. ეს ალბათ მათი ნიშანი თუ იყო. კაბინეტის კარები გამოაღო და შიგნით შევიდა.

— ჯერ კიდევ არ მოსულა? — მოისმა დავითის ბოხი ხმა.

— არა, მარა მოვა ალბათ. აკი ასე თქვა: ასე ხუთი საათისათვის მოვალო? უკვე გათენებას იწყებს, — უპასუხა ზურაბმა.

— შენი თანამშრომლები რა მდგომარეობაში არიან? კვლავ ჩაეკითხა დავითი.

— ხვრინავენ. ჩემთან წავიდეთ თითო კონიაკი გადავკრათ სითამამისათვის.

— არ იქნება ცუდი. წავიდეთ.

გამოვიდნენ თუ არა კაბინეტიდან ოთარმა მაშინვე იარაღი მიაბჯინა დავითს კეფასთან: — არ გაინძრეთ! ჯიბიდან იარაღი ამოართვა და ხელებზე ბორკილები დაადო. მართალია ეხლა დიხამინჯია არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მედიდურობასა და ამპარტავნობას მაინც არ იშლიდა. მას კარგად ესმოდა რაც მოელოდა, მაგრამ იხტიბარს არ იტეხდა და ასე განსაჯეთ ნაყალბევ სიმშვიდესაც კი ინარჩუნებდა.

მილიციის განყოფილებაში ალექსანდრე ფანცხავა შემოვიდა ჩანთით ხელში.

— ორივეს ბინაში ჩავატარე ჩხრეკვა, — დაიწყო მან, — აი, ეს ჩანთა, ეს ოქროს ნივთები, ჩანაწერები და მაგნიტოფონის ფირი, დავით დიხამინჯიას ბინაში აღმოვაჩინე, ხოლო ეს ასი ათასი მანეთი ფული და ეს „სათამაშოები" ზურაბ დარჩიას [illegible] რაზედაც სათანადო აქტები შევადგინე.

— ალბათ, ამ „სათამაშოებით" იყო მორთული ზურაბ დარჩია ჩემს საწოლ ოთახს რომ ესტუმრა, — დარწმუნებული კილოთი თქვა ოთარმა და ტყავის ხელთათმანები და ფეხზე ამოსაცმელი ნაბდები დაკვირვებით შეათვალიერა.

— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა ალექსანდრე.

— ჩართეთ მაგნიტოფონის ფირი, — მიმართა პოლკოვნიკმა ახლად შემოსულ თავის მოადგილეს.

— არის, — უპასუხა მოადგილემ, მილიციის უფროსის კაბინეტიდან გამოიტანა სამამულო წარმოების ახალი მაგნიტოფონი და ჩართო ფირი.

— არა!... მე ვერ წავალ მაგ საქმეზე, — მოისმა ზურაბ დარჩიას ხმა.

— წახვალ!... — შეახსენა დავითის ბოხმა ხმამ, — როგორც ვხედავ შენ გავიწყდება ჩემო კარგო, თუ ვისთან გაქვს საქმე. აბა კარგად გაიხსენე, ვინ იყავი შენ?... ვერ გაგიხსენებია?... მაშინ მე თვითონ შეგახსენებ... ვინ იყავი და ერთი უნიფხვო პროვინციელი. პირველად რომ გამოჩნდი ჩვენს ქალაქში, ათი საკერებელი გედო შარვალზე. შიმშილით კუჭი გიხმებოდა და სული გხდებოდა. მერე ვინ მოგცა საჭმელი, ვინ ჩაგაცვა, ვინ დაგახურა და ვინ გაქცია კაცად? ვინ და მე დავით დიხამინჯიამ. ეს მე შეგიცოდე და მიგიღე შენ ტრესტში სამუშაოდ. პარტიის რიგებშიც ჩემი რეკომენდაციით მიგიღეს. მე არაფერი დავიშურე იმისათვის, რათა ცხოვრების გზაზე გამომეყვანე. ვინ მოგცა რეკომენდაცია ორგანოებში შესასვლელად? ისევ დავით დიხამინჯიამ და არა სხვებმა. შენისთანა თახსირ კაცს ვინ გაღირსებდა ორგანოს?! ჩემს გარდა არავინ და არა კაცმა არ გამოგიწოდა ხელი. რომ წუმპედან ამოეყვანე და ახლა, როცა ამდენი ვიშრომე და ვიჯახირე შენი გულისათვის, როცა ჩემი მეშვეობით შეიძინე სახლ-კარი, მანქანა, ცოლ-შვილი და როცა ასე განცხრომით ცხოვრობ უპორტფელო მინისტრივით ახლა გინდა, რომ ყველაფერი წყალში გადამიყარო?

— რაც თქვენ ამაგი დამდეთ იმას არასოდეს დაგივიწყებთ, მაგრამ რა ვქნა, ამ საქმის მე ძალიან მეშინია.

— ეშინია ამას, ეშინია... როცა უდანაშაულო ბადრი ქოიავა ხუთი წლით გამოამწყვდიე ციხეში და როცა ამ საქმეში ათიათასი მანეთი ჩაიჯიბე, მაშინ, რატომ არ შეგეშინდა?

— დამნაშავემ თვითონ აღიარა დანაშაული.

— რასაკვირველია თვითონ აღიარა, მაგრამ ჩემი და შენი გავლენის შემდეგ.

— იურიდიულად კანონი ჩემს მხარეზეა.

— კი მაგრამ საკმარისია ამის შესახებ ენა დავასველო, რომ თავად აღმოჩნდები ბადრი ქოიავას ადგილზე.

— მაგას ნუ იზამ, ნუ დამღუპავთ ჩემო ბატონო.

— თუ ეს არ გინდა, მაშინ რასაც გეუბნები ის უნდა გააკეთო. აბა კარგად დაფიქრდი, ვინ იეჭვიანებს შენზე? გურამის დედის ძმაზე, საკუთარ ბიძაზე? თუ უკვე აღარა ხარ გურამის ბიძა?

— საქმეც მაგაშია, რომ გურამის ბიძა ვარ. საკუთარი ხელით როგორ გავწირო დისშვილი?

— მაშინ შენი თავი, შენი საზოგადოებრივი მდგომარეობა და შენი ცოლ-შვილი უნდა გასწირო.

— არა, არავითარ შემთხვევაში!... თავს და საკუთარ ცოლ-შვილს ვერ გავწირავ, ვერა!

— თუ ეს არ გინდა, მაშინ დღესვე გადაფრინდები ხარკოვში და იმ გველის წიწილას აქ ჩამომიყვან. დანარჩენს მე თავად მოუვლი. ამასთან ათი ათას მანეთსაც მიიღებ. კარგად დაფიქრდი და რაიმე სისულელე გულში არ გაივლო, თორემ!... შეგიძლია წახვიდე!

●

(დასასრული შემდეგ ნომერში).

**გ. თოფურია**

# განსხვავებული ცრემლები

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 47-5 (1990).



**ბავშვთა** კალათბურთის სასახლეში გაიმართა „მხიარული სტარტები", რომლის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის შს სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების (უფროსი, შ/ს პოლკოვნიკი კ. ხორგუაშვილი) და ფიზმომზადებისა და სპორტის ჯგუფის (უფროსი, მილიციის მაიორი თ. ლაკია) თანამშრომლები.

მხიარულ შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის სახანძრო დაცვის დანაყოფების თანამშრომლებმა და ლენინის რაიონის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებმა, რომელთა გვერდით მათი მშობლებიც ასპარეზობდნენ. მონაწილეთა და მაყურებელთა წინაშე საინტერესო პროგრამით წარსდგნენ სამეჯლისო ცეკვებისა და მხატვრული ტანვარჯიშის ნორჩი ოსტატები. ტრადიციად ქცეულმა ამ შეჯიბრებამ ამჯერადაც ორგანიზებულად და საინტერესოდ ჩაიარა.

ჯ. კახრაძის ფოტო

СПОРТ ●●●●●●●● სპორტი ●●●●●●●● СПОРТ ●●●●●●●● სპორტი

# «ВСЕ ЧТО МОГ ОТДАЛ ФУТБОЛУ»

## СЕГОДНЯ БОРИСУ СОЛОМОНОВИЧУ ПАЙЧАДЗЕ ИСПОЛНЯЕТСЯ 75 ЛЕТ

**Этот матч, состоявшийся в 1936 году, вошел в историю советского футбола не только как пример кубковой сенсации, но и как матч, положивший начало широкой известности тбилисского «Динамо». «И был в той команде игрок, — вспоминает в своей книге «Форварды» известный спортивный журналист Лев Филатов, — являвший собой средоточие всех ее достоинств, центрофорвард Борис Пайчадзе».**

— ЭТОТ матч примечателен был тем, что в кубковом матче с московским «Спартаком» динамовцы, проигрывая 0:3, все-таки завершили матч вничью, игра была кубковой, и нужен был только выигрыш одной из команд. Спустя три дня игра вновь продолжилась и снова ничья 3:3, а в дополнительное время динамовцы забили еще три безответных мяча. Девять мячей в воротах московского «Спартака» — в честь тогдашнего торжества болельщиков этой команды.

Блистательно сыграл в этом матче Борис Пайчадзе, которого спустя 8 лет после матча со сборной Румынии прозвали «Карузо футбола»...

Начал свой путь в футбол в Поти, где с раннего детства, как и многие мальчишки, с утра до вечера гонял мяч, а когда поступил в Тбилисский индустриальный институт его пригласили в тбилисское «Динамо», цвета которого он защищал более двадцати лет и имел счастье играть с А. Гогоберидзе и с такими партнерами, как М. Бердзенишвили и Г. Джеджелава, с кого начиналось тбилисское «Динамо», а потом Ш. Ямаидзе, З. Калоев, М. Месхи, Г. Чохели и другие.

В 1988 году Бориса Соломоновича избрали почетным гражданином города Тбилиси, он гордится этим высоким званием, ведь здесь он прожил около 60 лет. Сегодня заслуженному мастеру спорта, члену клуба имени Григория Федотова Б. Пайчадзе исполняется 75 лет.

Он по-прежнему в трудовом строю, работает в дирекции стадиона «Динамо». Свободное время Борис Соломонович проводит в кругу большой семьи, ведь у него и его супруги Маргариты Исидоровны два внука и четыре внучки, которые сегодня поздравляют легендарного тбилисского динамовца. Поздравляем и мы Вас, уважаемый Борис Соломонович, и желаем долгих лет жизни на благо грузинского спорта.

А. МАЛАЦИДЗЕ.

**წარმატებით** დაიწყო მიმდინარე სპორტული სეზონი სსრ კავშირის ჩოგბურთელთა კლასიფიკაციაში მეცხრე ადგილზე მყოფმა თბილისის დინამოელმა დავით კაჭარავამ, რომელიც ბოლო ორ ტურნირზე ოთხჯერ ავიდა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

მოსკოვში გაიმართა სპორტის დამსახურებული ოსტატის, სსრ

# კარგი დასაწყისი

კავშირის ექვსგზის ჩემპიონის ბორის ნოვიკოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი პირველი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 17 ქალაქის 32 ჩოგბურთელმა. ერთეულთა თანრიგის ფინალში დ. კაჭარავამ დაამარცხა მოსკოველი ა. მერინოვი (6:3, 6:2) ხოლო მეორე დინამოელთან დავით კვარაცხელიასთან ერთად წყვილთა ფინალიც მოუგო, ა. მერინოვისა და ო. ბორისოვის დუეტს (6:4, 7:6).

ტალინში ჩატარებული რესპუბლიკის ღია პირველობაზე დ. კაჭარავამ ფინალში მოუგო სსრ კავშირის მეექვსე ჩოგანს, რიგელ გ. ძელდეს (6:3, 6:3), წყვილთა შორის კი ერევნელ ა. შილაჯიანთან ერთად დაამარცხა ლატვიელთა დუეტი ვ. ძელდე — მ. როზენტალსი (6:4, 6:3).

ა. ჩალაიანცი.

ინდექსი 66683 — НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 93-1-41-34.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 93-1-41-34.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29. შ. 09950